საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-50

ქ. თბილისი

07/02/2018

შპს „ლჯ და კომპანია - დასავლეთ საქართველოს ტუბერკულოზისა და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრზე“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ

2017 წლის 28 დეკემბერს სამინისტროში წარმოდგენილია შპს „ლჯ და კო - ტუბერკულოზისა და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრისა“ და შპს „ლჯ და კომპანია - დასავლეთ საქართველოს ტუბერკულოზისა და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრის“ ერთობლივი განცხადება ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გადაცემის შესახებ.

ზემოაღნიშნული წერილითა და თანდართული დოკუმენტაციით, ასევე სამინისტროში არსებული მასალებით დასტურდება შემდეგი:

„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე 2016 წლის 4 ივლისს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ შპს „ლჯ და კო - ტუბერკულოზისა და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრის“ „ტუბერკულოზისა და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრის სამედიცინო ნარჩენების საწვავი ღუმელის (ინსინერატორის) მოწყობა და ექსპლუატაციის“ პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაიცა №36 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. აღნიშნული კანონის შესაბამისად, რომელიც მოქმედებდა 2018 წლის 1 იანვრამდე, ნებართვის/ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მფლობელი უფლებამოსილი იყო ნებართვა/ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა სხვა პირისთვის გადაეცა (მე-18 მუხლი). 2018 წლის 1 იანვრიდან მოქმედი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პირი, რომელზედაც 2018 წლის 1 იანვრამდე გზშ-ის სფეროში გაცემულია შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ვალდებულია 2021 წლის 1 იანვრამდე, განცხადების საფუძველზე მოითხოვოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა. სამინისტრო აღნიშნული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ამ კოდექსით გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისთვის განსაზღვრული პროცედურების გარეშე, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გასცემს გარემოსდაცვით

გადაწყვეტილებას, რომელიც შემდგომ გადაეცემა სხვა პირს ამავე კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად.

შესაბამისად, ვიხელმძღვანელე რა „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილით, ამავე კოდექსის მე-15 მუხლითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ლჯ და კო - ტუბერკულოზისა და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრზე“ 2016 წლის 4 ივლისს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული №36 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება №2; 05.02.2018; („ტუბერკულოზისა და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრის სამედიცინო ნარჩენების საწვავი ღუმელის (ინსინერატორის) მოწყობა და ექსპლუატაცია“ ქ. ქუთაისი, ჩხობაძის ქ. №20);
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება №2; 05.02.2018; გადაეცეს შპს „ლჯ და კომპანია - დასავლეთ საქართველოს ტუბერკულოზისა და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრს“;
3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი ვალდებულია დაიცვას №2 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობები;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ლჯ და კო - ტუბერკულოზისა და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრსა“ და შპს „ლჯ და კომპანია - დასავლეთ საქართველოს ტუბერკულოზისა და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრს“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ლჯ და კო - ტუბერკულოზისა და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრისა“ და შპს „ლჯ და კომპანია - დასავლეთ საქართველოს ტუბერკულოზისა და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრის“მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი